უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
საკითხები გასაუბრებისთვის

1. **ეროვნული უსაფრთხოება:**
   • ზოგადად მიმოიხილეთ საქართველოს უსაფრთხოების გარემო;
   • ჩამოთვალეთ და განიხილეთ, მინიმუმ სამი საქართველოს ეროვნულიუსაფრთხოების პრიორიტეტი, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის თანახმად;
   • განიხილეთ, ეროვნული ძალის ინსტრუმენტები და მათი ეფექტური და სინქრონული მართვის მნიშვნელობა ეროვნულ უსაფრთხოებაში. საერთაშორისო ურთიერთობები:
   • განიხილეთ საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი საკითხები (რას შეისწავლის);
   • გაანალიზეთ თანამედროვე მსოფლიო წესრიგი საერთაშორისო ურთიერთობებში (პოლუსიანობა);
   • განიხილეთ დიპლომატიის როლი და დანიშნულება.
2. **გეოპოლიტიკა:**
   • მიმოიხილეთ გეოპოლიტიკა, როგორც მეცნიერება;
   • ჩამოაყალიბეთ გეოპოლიტიკის მთავარი კანონი;
   • აღწერეთ საქართველოს როლი და ადგილი თანამედროვე გეოპოლიტიკურ სისტემაში;
   • შეაფასეთ საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია.
3. **შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკა:**
   • განიხილეთ გეოპოლიტიკური ვითარება შავი ზღვის რეგიონში;
   • განიხილეთ გეოპოლიტიკური ვითარება სამხრეთ კავკასიაში;
   • აღწერეთ რუსეთის ადგილი და როლი გეოპოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემაში;
   • აღწერეთ თურქეთის როლი და ადგილი თანამედროვე გეოპოლიტიკაში.
4. **ჰიბრიდული ომი:**
   • მიმოიხილეთ ჰიბრიდული ომის არსი;
   • გაანალიზეთ განსხვავება ტრადიციულ და ჰიბრიდულ ომს შორის;
   • განიხილეთ ჰიბრიდული ომის მინიმუმ სამი ძირითადი კომპონენტი;
   • დაასახელეთ ერთი ისტორიული მაგალითი ჰიბრიდული ომისა.
5. **საგარეო პოლიტიკა:**
   • მიმოიხილეთ საგარეო პოლიტიკის არსი;
   • გაანალიზეთ საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია;
   • განიხილეთ რუსეთის საგარეო პოლიტიკა:ომი უკრაინაში;
   • მიმოიხილეთ თურქეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ორიენტირები ცივი ომის შემდგომ პერიოდში.
6. **სტრატეგია:**
   • განმარტეთ რა არის სტრატეგია?
   • განიხილეთ რა განსხვავებაა სტრატეგიას და კონცეფციას შორის;
   • ჩამოთვალეთ და განიხილეთ საქართველოს სტატეგიული დონის დოკუმენტები.
7. **სახელმწიფო მოწყობა:**
   • განიხილეთ ხელისუფლების შტოები;
   • ჩამოთვალეთ და განიხილეთ მინიმუმ სამი საქართველოს ეროვნული ღირებულება;
   • განიხილეთ როგორი მოწყობის ქვეყანაა საქართველო.
8. **საერთაშორისო ორგანიზაციები:**
   • შეაფასეთ საერთაშორისო ორგანიზაციების როლი და კონტრიბუცია მსოფლიო უსაფრთხოებაში;
   • მიმოიხილეთ მინიმუმ სამი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელშიც საქართველოა გაწევრიანებული;
   • გაანალიზეთ ნატოს და ევროკავშირის თანამედროვე უსაფრთხოების ძირითადი გამოწვევები.

კანდიდატი წარმოდგენილი თემებიდან პირადი სურვილით ირჩევს **2 თემას განსახილველად,** თითოეული თემა მოცემული ქვესაკითხებით შეფასდება **მაქსიმუმ 4 ქულით, სულ 8 ქულა.** კანდიდატი დადებითად შეფასდება **მინიმუმ 4 ქულის** მიღების შემთხვევაში (თითოეული თემაში **მინიმუმ 2 ქულის** მიღების შემთხვევაში).

კანდიდატის შეფასება მოხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

4 ქულა: პასუხი სრულია; აქცენტები სწორად არის დასმული. კანდიდატი ზედმიწევნით ფლობს არჩეული საკითხის მთავარ კომპონენტებს.

3 ქულა: პასუხი სრულია, მაგრამ მცირეოდენი ხარვეზებით; არსებითი შეცდომა არ არის; კანდიდატი კარგად ფლობს არჩეული საკითხის მთავარ კომპონენტებს.

2 ქულა: პასუხი არასრულია; საკითხი გადმოცემულია დამაკმაყოფილებლად; კანდიდატი ფლობს საკითხს, მაგრამ აღინიშნება შეცდომები.

1 ქულა: პასუხი არასრულია; კანდიდატს აქვს ბუნდოვანი წარმოდგენა და უჭირს არჩეული საკითხზე პასუხის გაცემა.

0 ქულა: პასუხი არ არის საკითხის შესაბამისი ან საერთოდ არაა მოცემული.

ლიტერატურა:

1. გიორგი ანთაძე - ჰიბრიდული ომის გააზრებისთვის;
2. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია;
3. ჰამლეტ ჭიპაშვილი - დიპლომატია;
4. ალექსანდრე რონდელი - საერთაშორისო ურთიერთობები;
5. ნიკა ჩიტაძე, გეოპოლიტიკა გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი 2011
6. სანდრო ბაკურაძე ,,თურქეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ორიენტირები ცივი ომის შემდგომ პერიოდში'' კავკასიური სახლი, თბილისი 2020.
7. Hoffman, Frank G. (2007) "Conflict in the 21st Century: The Rise of Hybrid Wars", Potomac Institute for Policy Studies.
8. Fridman, Ofer (2018) "Russian 'Hybrid Warfare': Resurgence and Politicization", Oxford University Press.